



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ კეშელავა

წევრები:

ფიქრია მახარაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინო კილაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

თინათინ ლაზარაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინო საღარაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226527595

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი
ფაქტობრივი მისამართი	გარდაბანი, მარტყოფი, ქუჩა N24, შენობა N12
საფოსტო ინდექსი	1320
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2024?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Marktopi1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577299520

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №1 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ MES 8 25 0000446967 26/04/2025
--	--

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	22-23 მაისი
--------------------------	-------------

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა; დაწესებულების მისამართი: გარდაბანი, მარტყოფი, ქუჩა N24, შენობა N12; შენობა-ნაგებობა -1.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა; დაწესებულების მისამართი: გარდაბანი, მარტყოფი, ქუჩა N24, შენობა N12; შენობა-ნაგებობა -1.

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა; დაწესებულების მისამართი: გარდაბანი, მარტყოფი, ქუჩა N24, შენობა N12; შენობა-ნაგებობა -1.
---	---	---------	-------------	---

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 22 და 23 მაისს სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტი განხორციელა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ კეშელავამ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ფიქრია მახარაშვილმა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა--. ონლაინ შეხვედრები განახორციელეს საგნობრივმა ექსპერტებმა შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო კილაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნონა ბეროშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ხათუნა კალმახელიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
თინათინ ლაზარაშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ლელა კვირტია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო სალარაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ლია ნეფარიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა რამდენჯერმე და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადავხავე ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სტანდარტებს, მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობების დადგენა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ. დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ განხორციელდა ვიზიტის დაგეგმვამდე დოკუმენტაციის შესწავლა I-IV კლასებში - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება. სამუშაო გულისხმობდა კურიკულუმების შესაბამისობის დადგენას სტანდარტთან მიმართებით, კომპლექსური დავალებების თუ სხვა პროექტული დავალებების გადახედვა, შეფასების რუბრიკებისა და დიაგნოსტიკური სამუშაოების ინსტრუმენტების გაცნობა. აღნიშნულ სკოლასთან საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. ვიზიტის დროს, ყველა საგნობრივ კათედრასთან ერთად ინტერვიუ წარიმართა დაწყებითი საფეხურის ექსპერტთან ერთად გამომდინარე იქედან, რომ დაწყებითი საფეხურის ჯგუფში რამდენიმე საგანი შემოდის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება). დაწყებით საფეხურზე ინტერვიუს პროცესში დასმული შეკითხვები შეეხებოდა: საგნობრივი კურიკულუმების შინაარსობრივ ნაწილს, რა გრძელვადიანი და შუალედური მიზნები ჰქონდათ განსაზღვრული, აქტივობები როგორ მიემართებოდა ამ მიზნებისკენ, რა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს იყენებენ მუშაობის პროცესში, როგორ შეიმუშავეს კურიკულუმები, რამდენად ითვალისწინებენ მშობლის, მოსწავლის, ერთმანეთის გამოცდილებას, როგორ მიმდინარეობს მათ სკოლაში ფარული კურიკულუმით მუშაობა, რა ტიპის რესურსებს იყენებენ, შეფასებას როგორ ახორციელებენ, რა ინსტრუმენტები აქვთ, დიაგნოსტიკურ მუშაობას როგორ წარმართავენ, რამდენად ახდენენ კურიკულუმის გადახედვა-განვითარებას. თითოეულ ამ მიმართულებაზე საუბარი დამადასტურებელი დოკუმენტაციების განხილვის პარალელურად მიმდინარეობდა. ინტერვიუს დასრულებისას ექსპერტისგან სკოლას მიეცა რჩევები ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 800	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: დაწყებით საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. საბაზო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო და საშუალო საფეხური კურიკულუმი)	ხარვეზი

--	--	--

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და	სკოლამ უზრუნველყოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 19/03/2025-30/10/2025

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექთნის დასაქმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. 24/06/2025-24/06/2026
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე კვალიფიციური კადრის დასაქმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 24/06/2025-24/06/2026
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს შენობის კიბის უჯრედების ადაპტირება. შენობაში ლიფტის ან პანდუსის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 24/06/2025-20/06/2026
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო და საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს,	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში სველი წერტილისა და ამწოვი კარადის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 24/06/2025-24/06/2026

	მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.4.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი



	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში (სახელმწიფო ენა) უფრო ნათლად იყოს განსაზღვრული შინაარსი და გრძელვადიანი მიზნები, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. მაგალითისთვის: I-კლასის საგნობრივ კურიკულუმში უნდა აისახოს პერიოდები და სარეკომენდაციო თემატიკა.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში (სახელმწიფო ენა) I- V I ჩათვლით მეტი ყურადღება მიექცეს, იფარება თუ არა ყველა სამიზნე ცნება; ასევე კურიკულუმით შემოთავაზებული შუალედური მიზანისა თუ კომპლექსური დავალების პირობა მკაფიოდ ითვალისწინებს თუ არა გრძელვადიანი მიზნებს.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში (სახელმწიფო ენა) შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს მიემართება შეფასება. I-IV კლასებში განმავითარებელი შეფასების, ხოლო V-VI კლასების დონეზე, როგორც განმავითარებელი, ასევე



		განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე სკოლამ აქტუური მუშაობა უნდა გააგრძელოს.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, დაწყებითი საფეხურის, საგნობრივ კურიკულუმებში მე და საზოგადოების „ჩვენი საქართველოს“ ყველა შუალედური მიზნის დავალების გასწვრივ მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს საინფორმაციო ბუკლეტი, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მე და საზოგადოების მე-4 კლასის კურიკულუმში მითითებულია, რომ მოსწავლეებმა უნდა შექმნან ნაშრომი სკოლაში ქცევის წესების შესახებ, მაგრამ დაკონკრეტებული არ არის კონკრეტული პროდუქტი. ასევე, ჩვენი საქართველოს მე-6 კლასის კურიკულუმში რაჭა-ლეჩხუმის თემაში მოსწავლისთვის დავალებულია მხოლოდ ინფორმაციის მოძიება ხვამლის მთაზე.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, დაწყებითი საფეხურის, მე და საზოგადოების ჩვენი საქართველოს შუალედური მიზნების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ. „ჩვენი საქართველოს“ საგნის ფარგლებში მე-5 კლასში „დინოზავრები საქართველოში“ ამ საკითხის ფარგლებში აქტივობებით მუშავდება დავალების შემდეგი კრიტერიუმები: როდის გაჩნდნენ დინოზავრები დედამიწაზე? დაასახელეთ დინოზავრის სახეობები, ისაუბრეთ საქართველოში აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევის შესახებ, რამდენ ხანს ცოცხლობდნენ დინოზავრები და რა წარმოადგენდა მათ საკვებს და ა.შ. აღნიშნული კრიტერიუმები არ უწყობს ხელს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოცემული



		დავალების ფარგლებში შესაძლებელია დამუშავებულიყო შემდეგი სამიზნე ცნებები: სივრცე, მეურნეობა, სახელმწიფო და აქტივობებიც მიმართული ყოფილიყო ამ გრძელვადიანი მიზნების დამუშავებისკენ. მაგ. სამიზნე ცნება სივრცეზე მუშაობის დროს მოსწავლე შეძლებდა განესაზღვრა საქართველოს რომელ მხარეში მდებარეობს სათაფლია, რა კლიმატური პირობებია დამახასიათებელი იმერეთისთვის და რა ზეგავლენას ახდენს კლიმატური თავისებურებები სათაფლიაში არსებულ ფლორასა და ფაუნაზე. ემსჯელა რატომ აღარ გვხვდებიან დღეს სათაფლიაში დინოზავრები, რამ განაპირობა დროთა განმავლობაში ფლორის და ფაუნის ცვლილება და მღვიმეების წარმოქმნა; სახელმწიფოსა და მეურნეობის ცნებებზე მუშაობის დროს გამოეკვეთა თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო სათაფლიის ეროვნულ ნაკრძალზე, რამდენად უწობს ხელს სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები სათაფლიის ტურისტულ განვითარებას და როგორ აისახება ყოველივე ეს იმერეთის მოსახლეობის ყოფასა და საქმიანობაზე და ა.შ.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის, მე და საზოგადოების ჩვენი საქართველოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში თითოეულ სასწავლო თემას მიეწეროს თემატური ბლოკის სახელწოდება (2-3 კლასების მსგავსად), ხოლო კურიკულუმის



		ჩარჩოს თავფურცელზე მოცემული ჩამონათვალი განისაზღვროს რას ეკუთვნის, სასწავლო თემებს თუ თემატურ ბლოკებს.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგანში, დაწყებითი საფეხურის 5-6 კლასების კურიკულუმში, საკითხების გრაფაში ჩაიწეროს მუსიკის საგნობრივ სტანდარტში მოცემული ოთხი სავალდებულო საკითხიდან შესაბამისი საკითხი (1-4 კლასების კურიკულუმების მსგავსად), და არა გაკვეთილების სათაურები.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ესთეტიკური აღზრდის კათედრა შეჯერდეს, რომ კომპლექსური დავალების პირობა/იდეის შევსებისას უნდა ჩანდეს, თუ რა შემოქმედებით პროდუქტის შექმნაზე, რა საკითხსა და ცნებებზე მუშაობს მოსწავლე და ამის გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს კომპლექსური დავალების პირობა, ხოლო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა მიუთითოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. თუ მოცემული თემა არ ჯამდება კომპლექსური ბუნების დავალებით, მხოლოდ მაშინ მიეთითოს კურიკულუმებში შემაჯამებლის ფორმატი. შემაჯამებელ სამუშაოებში გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების მოცულობა.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ესთეტიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ.



ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სასურველია დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმებში ფიზიკური აღზრდა გაწერილი და შეთავაზებული იყოს სხვადასხვა, მოსწავლეთათვის საინტერესო თემები, სპორტის სახეობები(5-6 თემა).
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, სასურველია დაწყებითი, კერძოდ I-IV კლასის კურიკულუმებში, ფიზიკური აღზრდა თემების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, მოხდეს თემების საათობრივი თანაბარი გადანაწილება(ერთი თემა 10-12 გაკვეთილი).
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოდგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმების კონტექსტ-მაგალითების სვეტი შეივსოს რელევანტური მასალით, ხოლო რუსული ენის V კლასის კურიკულუმის რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს მითითებისას სასურველია ჩაიწეროს შესაბამისი გვერდები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, დაწყებითი საფეხურის ინგლისური და რუსული ენების საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული იყოს სავარაუდო საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები (IV კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების იდეა - „აირჩიე შენი საყვარელი ცხოველი, შექმენი დიორამა საცხოვრებელი გარემოს შესახებ და წარუდგინე შენს თანაკლასელებს“-ჩამოყალიბდეს, როგორც დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტშია (სასწავლო პროექტი დიფერენცირება ინგლისური)-შექმენი დიორამა ან დახატე, დაწერე ან ისაუბრე შენი საყვარელო ცხოველის შესახებ“ . შესაბამისად, სხვა შემოქმედებითი დავალების იდეებიც ისე



		ჩამოყალიბდეს, რომ შეძლებისდაგვარად ჩანდეს მოსწავლისთვის შეთავაზებული არჩევანის თავისუფლება
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ნათლად გამოკვეთოს საბაზო საფეხურზე სავალდებულო ხასიათის შემდეგი მოთხოვნები: სამიზნე ცნებები, თემატური ბლოკი, სავალდებულო ნაწარმოებების შესწავლის საკითხი. კათედრამ 2025-2026 სასწავლო წლისთვის უნდა გააგრძელოს კურიკულუმის დახვეწაზე მუშაობა.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში დასახვეწია საკითხის და კონტექსტმაგალითების გრაფა. ასევე სასურველია, შუალედური მიზანი უფრო რელევანტური დავალებებით იყოს შემოთავაზებული.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, სკოლამ სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში დააკონკრეტოს, რომელ გრძელვადიან მიზანს მიემართება შეფასება. V-XII კლასების მოსწავლეების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით, რაც ნათლად არ იკითხება წარმოდგენილ მტკიცებულებებში, ამიტომაც საგნობრივმა ჯგუფმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს, თუ რა ფორმით შეიმუშავენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნებიან გრძელვადიან მიზნებს. სამომავლოდ



		აუცილებლად უნდა შეიმუშავონ შეფასების მრავალფეროვანი ჰოლისტური სისტემა.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში გეოგრაფია; ისტორია; მოქალაქეობა საკითხების/შუალედური მიზნების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში უზრუნველყოთ სწავლის შედეგების მიღწევა. მაგ. ისტორიის მე-7, მე-8, მე-9 კლასების, გეოგრაფიის მე-7 და მოქალაქეობის მე-8 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია საკითხები, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი/შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სასურველია საბაზო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალების გასწვრივ მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მაგ. გეოგრაფიის არცერთ კურიკულუმში შუალედური მიზნის გრაფაში დაკონკრეტებული არ არის შემოქმედებით პროდუქტი, ასევე, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმში მითითებულია ტესტური დავალება ღია და დახურული კითხვებით, რაც ვერ ჩაითვლება შემოქმედებითი ტიპის დავალებად. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.



ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საბაზო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზნები თანხვედრაში მოდიოდეს დანართის სახით წარმოდგენილ დავალებების პირობებთან და აქტივობებთან. მაგ. მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში შუალედურ მიზნად გაწერილია კონტურულ რუკაზე საქართველოსა და აფრიკის კონტინენტზე პირველყოფილი ადამიანის განსახლების არეალის დატანა, კურიკულუმს კი დართული აქვს დავალება(აქტივობებით) - საველე დღიურის შექმნა დმანისის აღმოჩენების შესახებ. ასევე მე-8 კლასის ისტორიის კურიკულუმში წარმოდგენილია დავალება - კომიქსის შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნება პიპინ მოკლეს კარლოს, დიდის.... დიალოგები, კურიკულუმის ჩარჩოში კი აღნიშნული დავალება საერთოდ არ არის მითითებული.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2025-2026 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანაცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და



		დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია, ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში სახელმძღვანელოს რესურს დაემატოს სხვა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებიც, რომელსაც გამოიყენებს პედაგოგი სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	რადგან სკოლას ჰყავს მამიებელი ფიზიკის პედაგოგი, უზრუნველყოს მისი უფროსის სტატუსის მისაღებად ღონისძიებები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ცალ-ცალკე გააკეთოთ.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, საბაზო საფეხურის 8-9 კლასში თითოეულ სასწავლო თემას მიეწეროს თემატური ბლოკის სახელწოდება (7 კლასის



		მსგავსად), ხოლო კურიკულუმის ჩარჩოს თავფურცელზე მოცემული ჩამონათვალი განისაზღვროს რას ეკუთვნის, სასწავლო თემებს თუ თემატურ ბლოკებს. სასურველია, მუსიკის საგანში, საბაზო საფეხურის 7-9 კლასების კურიკულუმში, საკითხების ჩამონათვალი გამოიყოს ცალკეული გრაფებით და მიეწეროს სამიზნე ცნება-ქვეცნებები იმ შემთხვევაში, თუ ქვეცნებები განსხვავდებიან წინა საკითხების ქვეცნებებისაგან.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სასურველია, ესთეტიკური აღზრდის კათედრა შეჯერდეს, რომ კომპლექსური დავალების პირობა/იდეის შევსებისას უნდა ჩანდეს, თუ რა შემოქმედებით პროდუქტის შექმნაზე, რა საკითხსა და ცნებებზე მუშაობს მოსწავლე და ამის გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს კომპლექსური დავალების პირობა, ხოლო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა მიუთითოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. თუ მოცემული თემა არ ჯამდება კომპლექსური ბუნების დავალებით, მხოლოდ მაშინ მიეთითოს კურიკულუმებში შემაჯამებლის ფორმატი. შემაჯამებელ სამუშაოებში გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების მოცულობა.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ..
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	გამომდინარე იქიდან, რომ სპორტის ინდივიდუალური სახეობა მძლეოსნობა მოიცავს ისეთ სახეებს, როგორიცაა რბენა, ხტომა, ტყორცნა, რაც სპორტის სხვა სახეობების : ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და სხვა სწავლების საფუძველია, სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმში, სწავლის



		შედეგების მიღწევის მიზნით, გაწერილი იქნას სპორტის სახეობა მძლეოსნობა. ასვე თემების სავარაუდო რაოდენობა განისაზღვროს 5-6 თემით.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, სასურველია ფიზიკური აღზრდა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, თემების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, მოხდეს თემების საათობრივი რაოდენობის სწორად გაწერა და თანაბარი გადანაწილება(ერთი თემა 10-12 გაკვეთილი).
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სასურველია, საბაზო საფეხურის ინგლისური დ რუსული ენების კურიკულუმების კონტექსტ-მაგალითების სვეტი შეიცვას რელევანტური მასალით, ხოლო რუსული ენის VIII კლასის კურიკულუმის რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს მითითებისას სასურველია ჩაიწეროს შესაბამისი გვერდები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული იყოს სავარაუდო საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	სასურველია, საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები (IV კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების იდეა - „აირჩიე შენი საყვარელი ცხოველი, შექმენი დიორამა საცხოვრებელი გარემოს შესახებ და წარუდგინე შენს თანაკლასელებს“-ჩამოყალიბდეს, როგორც დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტშია (სასწავლო პროექტი დიფერენცირება ინგლისური)- შექმენი დიორამა ან დახატე, დაწერე ან ისაუბრე შენი საყვარელო ცხოველის შესახებ“. შესაბამისად, სხვა შემოქმედებითი დავალების იდეებიც ისე ჩამოყალიბდეს, რომ შეძლებისდაგვარად ჩანდეს მოსწავლისთვის შეთავაზებული არჩევანის თავისუფლება



ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია, საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში დასახვეწია საკითხის და კონტექსტმაგალითების გრაფა. ასევე საურველია, შუალედური მიზანი უფრო რელევანტური დავალებებით იყოს შემოთავაზებული.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურის სკოლის მიერ წარმოდგენილ რუბრიკებში კრიტერიუმები შემოფარგლება ზოგადი ფორმულირებებით და ბუნდოვნად ჩანს, რომელ გრძელვადიან მიზანს მიემართება. სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები დააკონკრეტოს მკვიდრი წარმოდგენებისა და დავალების პირობის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში გეოგრაფია; ისტორია; მოქალაქეობა საკითხების/შუალედური მიზნების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში ვუზრუნველყოთ სწავლის შედეგების მიღწევა. მაგ. მოქალაქეობის მე-10 კლასის კურიკულუმში შესავსებია სამიზნე ცნებების გრაფა, ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში კი მოცემულია საკითხები, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი/შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს.



ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სასურველია საშუალო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალების გასწვრივ მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მაგ. გეოგრაფიის არცერთ კურიკულუმში შუალედური მიზნის გრაფაში დაკონკრეტებული არ არის შემოქმედებით პროდუქტი, ასევე, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმში მითითებულია ტესტური დავალება ღია და დახურული კითხვებით, რაც ვერ ჩაითვლება შემოქმედებითი ტიპის დავალებად. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სასურველია საშუალო საფეხურის გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალების გასწვრივ მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მაგ. გეოგრაფიის არცერთ კურიკულუმში შუალედური მიზნის გრაფაში დაკონკრეტებული არ არის შემოქმედებით პროდუქტი, ასევე, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმში მითითებულია ტესტური დავალება ღია და დახურული კითხვებით, რაც ვერ ჩაითვლება შემოქმედებითი ტიპის დავალებად. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ



		წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია, ისტორიის მე-11, მე-12, საქართველოს ისტორიის მე-11, გეოგრაფიის მე-10, მოქალაქეობის მე-10, მე-11, მე-12 კლასების კურიკულუმებში სახელმძღვანელოს რესურს დაემატოს სხვა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებიც, რომელსაც გამოიყენებს პედაგოგი სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია, ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის კლასების საგნობრივ კურიკულუმებში სახელმძღვანელოს რესურს დაემატოს სხვა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებიც, რომელსაც გამოიყენებს პედაგოგი სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	რადგან სკოლას ჰყავს მადიებელი ფიზიკის პედაგოგი, უზრუნველყოს მისი უფროსის სტატუსის მისაღებად ღონისძიებები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ცალ-ცალკე გაკეთდეს.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლების პროცესში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებში ჩანდეს თემა-საკითხი, შემოქმედებითი პროდუქტი, სამიზნე ცნებები, გრძელვადიან მიზნებთან კავშირი.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	გამომდინარე იქიდან, რომ სპორტის ინდივიდუალური სახეობა მძლეოსნობა მოიცავს ისეთ სახეებს, როგორიცაა რბენა, ხტომა, ტყორცნა, რაც სპორტის სხვა სახეობების: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და სხვა სწავლების საფუძველია, სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმში, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, გაჩერდეს იქნას სპორტის სახეობა მძლეოსნობა. ასევე თემების სავარაუდო რაოდენობა განისაზღვროს 5-6 თემით.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, თემების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, მოხდეს თემების საათობრივი სწორად გაჩერა და თანაბრად გადანაწილება (ერთი თემა 10-12 გაკვეთილი).
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სასურველია, საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმების კონტექსტ-მაგალითების სვეტი შეიცოსოს რელევანტური მასალით.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული იყოს სავარაუდო საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის

ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	სასურველია, საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. შემოქმედებითი დავალების იდეები ისე ჩამოყალიბდეს, რომ შემღებობისდაგვარად ჩანდეს მოსწავლისთვის შეთავაზებული არჩევანის თავისუფლება (უცხოური ენები).
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია, საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:



რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც-„არ შეესაბამება“ (2.2.2.3;3.4.1.1;3.4.1.2;3.4.1.6;3.5.1.4) ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „ მეტწილად შესაბამისი“. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის ფილოსოფია, შემუშავებულია 2023 წელს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით და ეფუძნება ადამიანის ღირსების პატივისცემას, დემოკრატიულ ღირებულებებსა და ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სკოლის მიზანია ისეთი დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდა, რომელიც ფლობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას როგორც საზოგადოებრივი, ისე გარემოსდაცვითი კონტექსტის ფარგლებში.

სკოლა მხარს უჭერს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული პროგრესის ხელშეწყობას და ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ეფუძნება თანასწორობას, ჩართულობას, თანამშრომლობასა და უწყვეტ განვითარებას. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციურ მიდგომებს, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, ღია კომუნიკაციას და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის მისია და ხედვა სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლა იზიარებს ამ მიზნებს და ორიენტირებულია ისეთი თანამედროვე მოქალაქის აღზრდაზე, რომელიც აღჭურვილია ფუნქციური უნარებით, არის პროგრესული სიახლეების მიმღები, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზად და პატივს სცემს დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება ღირსების, პასუხისმგებლობის, თანასწორობის, ინოვაციურობისა და უწყვეტი განვითარებისა და სწავლის ღირებულებებს, რაც ქმნის მყარ საფუძველს მოსწავლეთა სრულფასოვანი, თანასწორი და წარმატებული განათლებისათვის.

2.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა პრიორიტეტად ისახავს ინკლუზიური, მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა განვითარდეს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. სკოლა ცდილობს ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი, განათლებული და პასუხისმგებელი მოქალაქეები, რომლებიც: ფლობენ ცოდნასა და ფუნქციურ უნარებს; ემზადებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის; არიან ღია სიახლეებისა და ცვლილებების მიმართ; პატივს სცემენ დემოკრატიულ ღირებულებებს; ხედავენ საკუთარ ადგილსა და როლს საზოგადოებაში.

სკოლის საქმიანობა ეფუძნება პოზიტიურ და პროდუქტიულ გარემოზე ზრუნვას, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას, ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ და მულტიკულტურულ აქტივობებს, ასევე მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას და არჩევანში მხარდაჭერას.

სკოლის ხედვით, განათლება უნდა იყოს ემოციურად უსაფრთხო და თანასწორ გარემოში, სადაც მოსწავლეები განვითარდებიან თვითრეგულაციის უნარს და მუდმივად პროგრესირებენ. სკოლის ღირებულებები ეფუძნება თანამშრომლობას, პასუხისმგებლობის გაზიარებას, ადამიანის უფლებების პატივისცემას, გამჭვირვალობასა და ინოვაციურობას.

ეს მიდგომა აყალიბებს სკოლას, როგორც სივრცეს, სადაც იზრდება მოტივირებული, შემოქმედებითი და დამოუკიდებელი პიროვნება.

3.სკოლის ფილოსოფიის შემუშავება საფუძვლად დაედო სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. აღნიშნული პროცესი დაიწყო 2023 წლის ივლისში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. პირველ ეტაპზე ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა თემაზე: „როგორია თქვენი აზრით კარგი სკოლა?“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა, მშობლებმა, პედაგოგებმა, კათედრებმა, სამეურვეო საბჭომ, სპეც. მასწავლებლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

მოგვიანებით, 21-25 ივლისს, მონაწილეებთან გაზიარდა ღირებულებათა ჩამონათვალი (20 ღირებულება) და მათ შეარჩიეს 3-5 ღირებულება, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავდა სკოლის კულტურას, იმიჯს, საზოგადოების მოლოდინებსა და საერთო ღირებულებებს.

25 ივლისს გაიმართა ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა და რამდენიმე პედაგოგმა. შეხვედრაზე განიხილეს სკოლის სტრატეგიის განვითარების გზები, მისიისა და ხედვის სამუშაო ვერსიები, გაიცნეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და განხორციელდა გარემოს ანალიზი SWOT ინსტრუმენტის გამოყენებით.

30 ივლისს, სკოლის დახურულ საკომუნიკაციო არხებსა და ოფიციალურ Facebook გვერდზე გამოქვეყნდა Forms-ის კითხვარი, რომელიც სკოლისთვის მნიშვნელოვანი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას ემსახურებოდა. პარალელურად, კათედრების მხარდაჭერით შეგროვდა მოსწავლეთა აკადემიური შედეგების სტატისტიკა (ბოლო სამი წლის მონაცემები), მედალოსანთა და წარჩინებულთა რიცხვი 2014-2023 წლებში, ასევე პროექტებსა და კონკურსებში ჩართულობის დინამიკა.

დამატებით ჩატარდა მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევა. ანალიზის შედეგად შეიქმნა სკოლის მონაცემთა გაერთიანებული სურათი, რომლის საფუძველზეც საბოლოოდ ჩამოაყალიბდა სკოლის ფილოსოფია. იგი აისახა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

4.2023 წლის 7 სექტემბრის დირექტორის (მ/შ) ბრძანებით (N1-115), დამტკიცდა სკოლის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელშიც აღწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნისა და გაზიარების პროცესები, პასუხისმგებელი პირები და მათი როლები. ფილოსოფიის სამუშაო ვერსია განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფსა და მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფებში, სადაც განხილულ იქნა შენიშვნები და რეკომენდაციები. შემდგომი შეთანხმება შედგა სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან, რაც ადასტურებს მათ თანხმობასა და პასუხისმგებლობას სკოლის ძირითადი იდეების გაზიარებაზე.

მთელ პროცესში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება – მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები. მიმდინარეობდა მინი-კვლევები, ონლაინ და პირისპირ გამოკითხვები, სადაც ყველას ჰქონდა შესაძლებლობა ეთქვა საკუთარი მოსაზრება. ანალიზში ჩართულნი იყვნენ კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და მოსწავლეები.

ფინალური ვერსია გაზიარდა სკოლაში არსებული დახურული საკომუნიკაციო არხებითა და კლასის დამრიგებელთა ელექტრონული საქალაქოების საშუალებით, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირების მიზნით.

სკოლის ფილოსოფიის პრაქტიკაში გაზიარება აისახა რეალურ აქტივობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა: სკოლამ გააფორმა მემორანდუმი კოლეგებთან „მოდუსი“ და „მერმისი“ და 2023-2025 წლებში მოსწავლეები ჩაერთვნენ მოკლევადიან კურსებში კერვის, აიტი-სპეციალობის, მინანქრისა და ელექტრობის მიმართულებით. მათი მონაწილეობა ადასტურებს სკოლის მისიისა და ხედვის წარმატებულ გაზიარებას.

ფილოსოფიის გაზიარების ხარისხი შეფასდება მონიტორინგის წესის თანახმად – წელიწადში ერთხელ და ყოველ 3 წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კი განხორციელდება ცვლილებები, რათა იგი კიდევ უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული სასკოლო საზოგადოების მოლოდინებთან და საჭიროებებთან.

5. სკოლის ფილოსოფია — მისია, ხედვა და ღირებულებები — ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის. იგი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ფარგლებში, ფილოსოფიის სამუშაო ვერსიები გაზიარდა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფსა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რათა უზრუნველყოფილიყო მოსაზრებებისა და შენიშვნების სრულფასოვანი განხილვა. საბოლოო ვერსია, შეთანხმების შემდეგ, გავრცელდა საკომუნიკაციო არხებით — მათ შორის, დამრიგებლების ელექტრონულ საცავში, მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფებში. სასწავლო წლის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში, კლასის დამრიგებლებმა საჯარო განხილვის ფორმატით გააცნეს მოსწავლეებსა და მშობლებს სკოლის ფილოსოფია, სტრატეგია და სხვა საკვანძო დოკუმენტები. პარალელურად, დოკუმენტები ოფიციალურად განხილულ და შეთანხმებულ იქნა პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე.

ფილოსოფიის ამსახველი მასალები ფიზიკურად განთავსებულია სკოლის შენობაში — თვალსაჩინო ადგილზე, ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას სკოლაში მყოფი ნებისმიერი პირისთვის.

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების შესაბამისად, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს ოქმი N6;
2. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N5;
3. ეკრანის ანაბეჭდი დახურული ჯგუფებიდან;



4. გაცნობის ოქმები და აქტები;
5. მემორანდუმები პროფესიულ კოლეჯებთან;
6. ფოტო- საინფორმაციო დაფა;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
8. სკოლის ფილოსოფია;
9. სკოლის დირექტორის ბრძანება N1-115;
10. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
11. მისია, ხედვა, ღირებულებები;
12. სკოლის დირექტორის ბრძანება N1-81;
13. სტატისტიკა და პროცესების ამსახველი მასალები;
14. სსგ 2023-2024.

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც განისაზღვრა დირექტორის 2023 წლის 7 სექტემბრის ბრძანებით N1-115. დოკუმენტი საჯაროდ იქნა განხილული სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე, რათა უზრუნველყოფილიყო საზოგადოების მოსაზრებებისა და ინტერესების გათვალისწინება.

მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-5 თავში ჩამოყალიბებულია სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი მიდგომები და პრინციპები. კერძოდ, მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ დაგეგმვის პროცესში უნდა აისახოს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და მოლოდინები. ამის უზრუნველსაყოფად, ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში, წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, იკვეთება ჩართული მხარეები და უზრუნველდება მათი აქტიური მონაწილეობა ან ინფორმირება.**ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

სწორედ ამ პრინციპით, სკოლის დირექტორის ბრძანებით N1-81 შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა წინასტრატეგიული ეტაპები. ჩატარდა გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები და საჯარო განხილვები, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრებმა მონაწილეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. შედეგად, მომზადდა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2023–2024) პროექტები. დოკუმენტები საჯაროდ განიხილეს პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე, რის შემდეგაც დამტკიცდა იმავე დღეს გამართულ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

2. სკოლის 7 წლიანი (2023-2030) სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2023 წლის 27 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. გეგმა ციკლურია და შვიდ წელიწადში ერთხელ განახლდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.სკოლის სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.**ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიან (2023-2030) სტრატეგიულ გეგმასთან ერთად, 2023 წლის 27 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა 2023-2024 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ეს გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანალიზის საფუძველზე, რომელიც სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის სხდომაზე წარადგინეს და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით, 2024 წლის 20 სექტემბრის ბრძანებით N1-186 შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული აქტივობები.

სამუშაო ჯგუფმა დეტალურად განსაზღვრა მიზნების მისაღწევი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, ინდიკატორები და საჭირო რესურსები, ასევე დაასახელა პრიორიტეტული დავალებები, რომლებიც წინა წელს ვერ შესრულდა. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა საჯაროდ განხილულ იქნა პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 24 სექტემბერს.**ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამუშავებულია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე. გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები,ამოცანები და საჭირო რესურსები.2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შესრულების ანალიზი წარედგინება

სასწავლო წლის ბოლოს, სამეურვეო საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე, სადაც შეფასდება წინასწარ დაგეგმილი მიზნების მიღწევა. **ინდიკატორ 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგია;

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N1-115;

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;

სკოლის სტატისტიკა და პროცესების ამსახველი მასალები;

სამეურვეო საბჭოს ოქმები N6 და N8;

პედაგოგიური საბჭოს ოქმები N6, N8 და N11;

ეკრანის ანაბეჭდი დახურული სამუშაო ჯგუფებიდან;

შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ანგარიში 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;

სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას დირექტორის მ/შ-ის 2023 წლის 7 სექტემბრის N1-115 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, სადაც მე-12 მუხლიში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების შემდეგი მექანიზმი: სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ: გეგმის მოქმედების შუა ეტაპზე (3 წლის შემდეგ) და დასრულებისას (7 წლის შემდეგ), ახალი სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება კი ტარდება ყოველწლიურად. მონიტორინგი მოიცავს გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსის დაფიქსირებას, ხოლო შეფასება გულისხმობს ამ მონაცემების ანალიზს და საჭირო კორექტირების დაგეგმვას.

ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია ორი ალტერნატიული გზით: ელექტრონული ფორმატი – Drive-ზე გაზიარებულ საქაღალდეში ანგარიშებისა და მტკიცებულებების ატვირთვა, რასაც მოსდევს სამუშაო ჯგუფის მიერ წლიური ანგარიშის შედგენა; წერილობითი ფორმატი – პასუხისმგებელი პირებისგან წერილობითი ანგარიშების წარმოდგენა და გაერთიანებული სხდომის საფუძველზე საბოლოო ანგარიშის მომზადება.

შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ივსება მონიტორინგის ცხრილები თითოეული მიზნის, ამოცანისა და აქტივობის მიხედვით შესაბამისი სტატუსის მითითებით. საბოლოო ანგარიში შესაძლოა მოიცავდეს: სტატისტიკურ მონაცემებს; ფოტომასალას განხორციელებული აქტივობებიდან; ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან.

ანგარიში წარედგინება სკოლის დირექტორს და განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. დამტკიცებული დოკუმენტი ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე და ვრცელდება შესაბამის საკომუნიკაციო არხებზე. **ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, 2024 წლის 28 ივნისს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სკოლის დირექტორის მ/შ-ის მიერ წარდგენილ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები. გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები. მონიტორინგის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად გეგმის მოცულობისა, აქტივობები რეალისტურად იყო დაგეგმილი და მათი შესრულება ეფექტურად განხორციელდა. იმ აქტივობებს, რომლებიც მიმდინარე წელს ვერ შესრულდა, პრიორიტეტი მიენიჭება მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.

რაც შეეხება 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას — პროცესი განხორციელდება სკოლის დირექტორის მ/შ-ის 2024 წლის 20 სექტემბრის N1-186 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

მონიტორინგი და შეფასება ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს, შესაბამისი ანგარიშების საფუძველზე, რომელიც მოიცავს: გამოკითხვებს, ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფების შედეგებს; სტატისტიკურ მონაცემებს; დოკუმენტური ანალიზს; სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის.

ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება სკოლის ვებგვერდზე და შესაბამის საკომუნიკაციო არხებზე. **ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ ორიენტირად ასახელებს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას.სკოლის ვებ გვერდზე გაზიარებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების

განხორციელების შედეგები. თუმცა სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მოკლე რეპორტი განათავსებულია თვალსაჩინო ადგილას, სკოლის დერეფანშიც, რადგან დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ მისი გაცნობა. **ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას აქვს პრაქტიკა სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, სამუშაო ჯგუფის მიერ შეგროვებული მტკიცებულებებისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე, განსაზღვროს შემდგომი რეაგირების საჭიროება. კერძოდ, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით განახორციელოს: სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა; სკოლის მისიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება; დაგეგმვის პროცესის ხარისხის, გამოწვევებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. შესაბამისად, შეფასება სკოლის მენეჯმენტისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება მიღებული გამოცდილების საფუძველზე გააუმჯობესოს დაგეგმვის პროცესი და უზრუნველყოს სკოლის უწყვეტი განვითარება. **ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგია;

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N1-115;

სამეურვეო საბჭოს ოქმი N8;

პედაგოგიური საბჭოს ოქმი N8;

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ანგარიში 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესარულების შესახებ;

სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით და მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტსა და საჭიროების მიხედვით სააპელაციო კომიტეტს.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობები მკაფიოდ არის აღწერილი სკოლაში მოქმედ დებულებებსა და შრომით ხელშეკრულებებში. 2024-2025 წლებში დამტკიცდა რიგი მნიშვნელოვანი დებულებები, მათ შორის: დამრიგებლის, კათედრის, ბიბლიოთეკის, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, თვითმმართველობის და დირექციის დებულებები.

სკოლაში ასევე მოქმედებს მშობლებთან ურთიერთობის წესი, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და უსაფრთხოების პოლიტიკა. პასუხისმგებელი პირები რეგულარულად აფასებენ განხორციელებულ საქმიანობას და წარადგენენ ანგარიშებს. **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია შესაბამის დებულებებსა და წესებში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგია, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, უსაფრთხოების პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, ხარისხის უზრუნველყოფის და მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები.

პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები თავიანთი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფენ წარმატებით.

წლიურ ანგარიშებში განისაზღვრება შესრულებული საქმიანობის შედეგები, რაც საშუალებას აძლევს სკოლას გააკეთოს ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში გააუმჯობესოს პროცესები, რაც ხელს უწყობს სკოლის მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულება.

სკოლის სტრუქტურა

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის დირექტორის (მ/შ) ბრძანება N1-308.

დამრიგებლის დებულება;

საგნობრივი კათედრის დებულება;

ბიბლიოთეკის დებულება;

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების სამუშაო დებულება;

პედაგოგიური საბჭოს ოქმი N9;

პედაგოგიური საბჭოს დებულება;

სამეურვეო საბჭოს ოქმი N9;

სამეურვეო საბჭოს დებულება;

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის დირექტორის (მ/შ) ბრძანება N1-195;

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის დირექტორის (მ/შ) ბრძანება N1-37,1-13,1-110,1-115,1-116,1-117;

დირექციის დებულება;

მშობლებთან ურთიერთობის დებულება;

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს: პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს და სტრატეგიას, სამუშაოს აღწერილობებსა და საკონკურსო წესებს, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ახალი თანამშრომლების სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმებს, შესრულებული სამუშაოს შეფასების ინსტრუმენტებს, პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმებს.

დოკუმენტის შესრულება და გამოყენება დადასტურდა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას.

პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. შინაგანაწესი მოიცავს შემდეგს: სამუშაო კვირისა და დღის ხანგრძლივობა, დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების წესი და დრო, შვებულების (ანაზღაურებადისა და დაუფასებლის) წესები, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმები, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, სასწავლო პროცესის რეგულირების ზოგადი ნორმები დაჩაგმულობის წესები.

დასაქმებულთა ყოველდღიური სამუშაო დრო აღირიცხება ტაბელის მიხედვით, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/ნ ბრძანების დანართ 2-ს.

სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს მათ განუყოფელ ნაწილს.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, სკოლის შინაგანაწესისა და კონკურსის ჩატარების წესის შეჯერებული გამოყენება უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მასწავლებელთა შიდა შეფასების განხორციელება. ეს პროცესი მოიცავს: მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისობის დადგენას მის მიერ შესრულებულ საქმიანობასთან; საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებასა და მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას; ჩატარებული გაკვეთილის ანალიზს და განმავითარებელი შეფასების მიწოდებას მასწავლებლისთვის.

ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირის, აგრეთვე თანამშრომელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება პროფესიული საჭიროებები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს: ტრენინგებს, კონფერენციებს, ვებინარებს და სხვა პროფესიული განვითარების აქტივობებს. აღნიშნული აქტივობები ასახულია სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.

პერსონალის საჭიროებების დროულ გამოვლენას ხელს უწყობს სკოლაში მოქმედი სტრუქტურების კოორდინირებული მუშაობა, მათ შორის: საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მონიტორინგის ჯგუფი.

სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, შეცვლას უზრუნველყოფს შესაბამისი კათედრის მასწავლებელი ან სხვა პედაგოგი. ეს რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2, ქვეპუნქტი „ღ10“ და მუხლი 43, პუნქტი 2, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მუხლი 12, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „დ“.

ჩანაცვლების ფაქტი აისახება სკოლაში წარმოებულ ჟურნალში, სადაც შესაბამისი აღრიცხვა რეგულარულად ხორციელდება.

დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს საფუძველზე ნათლად იკვეთება, რომ სკოლა ახორციელებს საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციულ და ინტერვენციულ მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხიან მართვასა და მასწავლებელთა უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს კონკურსთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს — ვაკანტური ადგილის გამოცხადებიდან გამარჯვებული კანდიდატის შერჩევამდე. დოკუმენტი განსაზღვრავს: ვაკანტურ პოზიციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს; კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის პროცედურებს; კონკურსის ვადებსა და პირობებს, რაც სკოლის დირექტორის ბრძანებით რეგულირდება; თითოეული პოზიციისთვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კონკურსის პროცესი მიმდინარეობს გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით — ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ საჯაროდ ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე (teacherjobs.ge), რაც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი სხვადასხვა პოზიციისთვის საჭირო კვალიფიკაცია, რაც კონკურსის გამართულ და სამართლიან პროცესს უზრუნველყოფს. საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროცედურების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფი N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელშიც წარმოდგენილი იყო მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები, მათ შორის: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნასამართლეობის ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ; საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ცნობა უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ. ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეებში სრულად იყო წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, რაც მოთხოვნილია სკოლის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესით. მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და ითვალისწინებს ყველა სავალდებულო კომპონენტს. ასევე გაფორმებულია ხელშეკრულებები სკოლის ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან. ყველა ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს, დარეგისტრირებულია შესაბამის ჟურნალში და მომზადებულია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დოკუმენტაციისა და eSchool სისტემის მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლის თანამშრომელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მარეგულირებელი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის ადმინისტრაციისა და კათედრების წევრებთან ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს კოლეგიური მმართველობის ორგანოები — პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები, რომლებიც ჩართულნი არიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური თანამშრომლობის პრინციპს. წევრებს შორის ხდება: გამოცდილების გაზიარება;

საგანმანათლებლო გამოწვევების ანალიზი და მათი დაძლევის გზების განსაზღვრა; ერთობლივი გეგმების შედგენა და განხორციელება. კათედრის თითოეული წევრი მონაწილეობს კურიკულუმების შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესში. სკოლაში ფიქსირდება კათედრებს შორის აქტიური თანამშრომლობა, რაც გამოიხატება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებასა და სხვადასხვა ერთობლივი პროექტების განხორციელებაში. აღნიშნული პრაქტიკის არსებობა დადასტურებულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რაც მოიცავს რეალიზებული პროექტების დოკუმენტაციასა და განხორციელებული ღონისძიებების ამსახველ მასალას.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია

6. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახულია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულთა წახალისების ფორმები და მათი გამოყენების წესები. სკოლაში წარმატების აღიარებისა და პროფესიული მიღწევების გაზიარების პროცესს უწყობს ხელს: „კრიტიკულ მეგობართა ინსტიტუტის“ აქტიური ფუნქციონირება, რაც გულისხმობს მასწავლებელთა მიერ ერთმანეთის გაკვეთილებზე დაკვირვებას, პროფესიული რეკომენდაციების გაცვლასა და კონსტრუქციულ უკუკავშირს; საგნობრივი კათედრების ფარგლებში მიღწეული შედეგებისა და წარმატებული პრაქტიკების გაზიარება. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისა და კათედრის სხდომების ოქმების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს წახალისების მექანიზმებს, მათ შორის: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადამდე ადრე მოხსნა. წახალისების აღნიშნული ფორმები გამოიყენება როგორც პროფესიულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის, ასევე შრომითი ვალდებულებების მაღალი პასუხისმგებლობით შესრულებისთვის, განსაკუთრებული სირთულის ან მოცულობის სამუშაოს შესრულებისას, და ხანგრძლივი კეთილსინდისიერი სამსახურისათვის. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მოტივაციასა და პროფესიულ ზრდას.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

შინაგანაწესი;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

საქმისწარმოების წესი;

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

სკოლის სტრუქტურა;

ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი;

პირადი საქმეები;

შრომითი ხელშეკრულებები;

კათედრის ოქმები;

გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ შორის: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. ხსენებული დებულება ადგენს მასწავლებელთა შეფასების მრავალმხრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც მოიცავს: საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას; საგნობრივი თემების ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას; მასწავლებლის რეფლექსიის ანალიზსა და შეფასებას. დადგენილია უკუკავშირის მიცემის მექანიზმები, რაც ხელს უწყობს

მასწავლებლის პროფესიული ზრდის ინდივიდუალური გზის დაგეგმვას. წარმოდგენილი კათედრის პორტფოლიოები შეიცავს გაკვეთილებზე დასწრების მასალებსა და შესაბამის განმავითარებელ უკუკავშირს. დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავს არსებული მექანიზმების შემდგომ დახვეწას, რაც მიუთითებს პროცესის მიმართ გააზრებულ მიდგომაზე და განვითარებაზე ორიენტირებულობას.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების გამოვლენა ეფუძნება შესრულებული სამუშაოს სისტემურ ანალიზს. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე გეგმავს სკოლა შესაბამის განვითარებით ღონისძიებებს.

მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება განსაზღვრავს იმ ძირითად აქტივობებს, რომლებიც მიმართულია პერსონალის პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებაზე. მათ შორის აღსანიშნავია: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; თემატური ტრენინგებისა და გადამზადების სესიების ორგანიზება; როგორც შიდა, ასევე გარე საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება. სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას როგორც სასწავლო დაწესებულების შიგნით, ისე გარე სერვისების ბაზაზე, რაც მიუთითებს საჭიროებების მიმართ მორგებულ და მრავალფეროვან მიდგომაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა.

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ასახავს მასწავლებლებისთვის დაგეგმილ თემატურ შეხვედრებს, რომლებიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა, გამოცდილების გაზიარება და ინტეგრირებული თანამშრომლობა კათედრებს შორის.

სკოლაში განხორციელებული მხარდაჭერი აქტივობები რეალურად უწყობს ხელს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება ხელს უწყობს არა მხოლოდ პედაგოგების, არამედ სხვა თანამშრომლების პროფესიულ ზრდასაც.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მე-11 მუხლში გაწერილი აქვს თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, ადაპტაცია-ორიენტაციისა და სტაჟირების პოლიტიკა. ახალი თანამშრომლის მიღების შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ინტეგრაციას: ახალი პედაგოგის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, ხოლო სხვა თანამშრომლების შემთხვევაში – შესაბამის სამსახურში. გუნდში ახალი წევრი ეცნობა სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, ასევე ხდება მისი გაწევრიანება შიდა საკომუნიკაციო არხებში (დახურულ ჯგუფებში). თანამშრომელს გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას ის ადასტურებს ხელმოწერით; აღნიშნული დადასტურებულია შრომით ხელშეკრულებაშიც. ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის დოკუმენტის მე-11 მუხლის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ეს დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრების შედეგადაც. მათ შორის, სკოლის მამიებელი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ პროფესიულ საქმიანობაში პირველი ნაბიჯების გადადგმა ეტაპობრივად, გარკვეული გეგმის შესაბამისად განხორციელდა და ამ პროცესში ის მუდმივად იღებდა მხარდაჭერას როგორც სკოლის ადმინისტრაციისგან, ისე კათედრის წევრებისგან. დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლასთან კომუნიკაციის საფუძველზე აშკარად იკვეთება, რომ სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს თანამშრომელთა ადაპტაციასა და სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას გააჩნია პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულის წახალისების ფორმებსა და მათ გამოყენების წესებს.

თანამშრომელთა მოტივაცია სკოლაში ეფუძნება როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ სტიმულებს, რაც მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, შენარჩუნებასა და პროფესიულ ზრდას. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები დაწესებულების მიერ აღიარებულია და წახალისებულია. ინიციატივები შეიძლება წარმოიშვას როგორც საჭიროებების კვლევის შედეგად, ასევე უშუალოდ პერსონალის ზეპირი განაცხადის ფორმით.

სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა წახალისებას შემდეგ შემთხვევებში: პროფესიულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის; შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის; დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის; ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის; საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებული წვლილისთვის. წახალისების ფორმებია: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი ფულადი პრემია; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადამდე ადრე მოხსნა.

ინტერვიუების, კათედრის ოქმებისა და მარეგულირებელი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში ეფექტურად მოქმედებს პერსონალის განვითარების წახალისების პრაქტიკა და თანამშრომელთა ინიციატივები რეალურად ფასდება. **ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

შინაგანაწესი;

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

სკოლის სტრუქტურა;

შრომითი ხელშეკრულებები;

პირადი საქმეები;

კათედრის ოქმები;

გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ინტეგრირებული გაკვეთილების შესახებ.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც რეგულირებს სწავლა-სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია: სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და გაუმჯობესება; აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება; სასწავლო პროცესის უწყვეტი სრულყოფის ხელშეწყობა. სკოლა სისტემურად ახორციელებს: სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებას და მათ გაუმჯობესებას; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმვა → განხორციელება → შეფასება → რეკომენდაციების შემუშავება → ინტერვენცია → შედეგებზე დაკვირვება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის მდგრად განვითარებას და მუდმივ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში, მათ შორის: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.

სკოლას გააჩნია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზების ძირითად პრინციპებს. ძირითადი პროცესებიდან გამოკვეთილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, რომელიც დეტალურადაა აღწერილი შესაბამის დოკუმენტში – კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. დოკუმენტებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი პროცესების ეტაპები და მოქმედებების თანმიმდევრობა, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ორგანიზებულობასა და ეფექტიანობას. **ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესის 42-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს, მაგრამ ეს წესი ზოგადია და არ აკონკრეტებს მექანიზმებს და პროცედურებს, ამიტომ სკოლამ შეიმუშავა მარტყოფის N1 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. **ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შიდა მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. სკოლის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში (შინაგანაწესი, წესდება, სადამრიგებლო პროგრამა და სხვ.) ასევე ვხვდებით მშობლის ინფორმირების ვალდებულებას. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;

გასაჩივრების მექანიზმები;

დირექტორის ბრძანება;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

მშობლებთან ურთიერთობის დებულება;

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძირითადად ახორციელებს სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების მეშვეობით. მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად, დამრიგებელი ვალდებულია მშობელს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და პროგრესის შესახებ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება ხორციელდება შემდეგი ფორმებით: მშობელთა და დირექციის შეხვედრები; დამრიგებლებთან პერიოდული გასაუბრებები, რომელთა ჩატარების გრაფიკი მშობლებს ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისშივე; კვირაში ერთი დღე (პარასკევი) დადგენილია, როგორც მშობლებთან შეხვედრის დღე, რომლის ფარგლებშიც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა წინასწარი შეთანხმებით მოინახულონ სკოლა და იმსჯელონ მიმდინარე სასწავლო საკითხებზე. სკოლის ფოიესა და სამასწავლებლოში განთავსებულია საინფორმაციო დაფები, რომელზეც სისტემატურად ქვეყნდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები.

სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის შემდეგი დოკუმენტაციის გაცნობას: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები; მოსწავლეთა შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

სკოლას გააჩნია ვებგვერდი, რომელიც ამჟამად დამუშავების პროცესშია, თუმცა უკვე გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესებას, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას უკეთესად გამოავლინოს სასკოლო საზოგადოების საჭიროებები და მოლოდინები. **ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობი, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში და უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

მრჩეველთა საბჭოს ოქმები;

პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

სამეურვეო საბჭოს ოქმები;

თვითმმართველობის დებულება;

სოციალური ქსელი;

სკოლის ვებ-გვერდი;
საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური (სამი მანდატური). შენობაში დამონტაჟებულია 18 ვიდეო-სათვალითვალო კამერა. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. შენობაში დაცულია ხანძარსა და ალკოჰოლს უსაფრთხოების წესები. ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია განახლებული საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება NL19/05 19/05/2025. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. ვიზიტის პერიოდში, სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციით და შესაბამისობის გეგმით, რომელსაც ერთვოდა შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა N5002856625 27/05/2025. ასევე ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასკვნა, თუმცა შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა მტკიცებულება სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 188 04/06/2025. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ „112“-ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი. **რჩევა:** სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **რეკომენდაცია:** სკოლამ უზრუნველყოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება 19/03/2025-30/10/2025. **ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია**

2. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში სრულად უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და პერსონალის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სკოლის შტატში არის კვალიფიციური ექიმი; პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სამედიცინო კაბინეტის მოწყობა სრულად შეესაბამება: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესს; შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების რეკომენდაციებს. სამედიცინო აღჭურვილობის უსაფრთხოების სტანდარტებს. სკოლის ექიმი სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას აწარმოებს სპეციალური ფორმის გამოყენებით — სკოლაში გაწეული

სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/5/01-23/5 შესაბამისად, სკოლის მის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობაზე (800 მოსწავლე) რეკომენდებულია ერთი ექიმი და ერთი ექთანი. ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა ექთანი თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა შესაბამისი მტკიცებულებებით და მიეცა რეკომენდაცია: *უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექთნის დასაქმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.* 24/06/2025-

24/06/2026. ინდიკატორი 3.4.1.2 მეტწილად შესაბამისი

3. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები“, აგრეთვე სკოლის შიდა რეგულაციებით: „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის წესი“; „უსაფრთხოების პოლიტიკა“. უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებები და პასუხისმგებელი პირები: სამი მანდატური და სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომლები უზრუნველყოფენ სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი განსაზღვრავს მორიგე მასწავლებლებს, რომლებიც მონიტორინგს უწევენ საკლასო და საერთო სარგებლობის სივრცეებს; მრჩეველთა საბჭო, რომელიც იძლევა რეკომენდაციებს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებზე; სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები და ხანძარსაწინააღმდეგო/კვამლ საწინააღმდეგო სისტემები; ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; სკოლის ექიმი უზრუნველყოფს გადაუდებელ პირველ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. მოსწავლეთა ქცევის და წესრიგის მონიტორინგი: სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომებისა და პასუხისმგებლობის ფორმებს. აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; მოსწავლის სკოლის ტერიტორიის დატოვება დასაშვებია მხოლოდ დირექტორის თანხმობით, მშობლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, სპეციალური საშვის გამოყენებით; სკოლის ყველა დარღვევის ფაქტზე ხდება რეაგირება მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით; მანდატურის აღრიცხვის ფურცლით გამოვლენილ შემთხვევებზე სკოლა მოქმედებს შესაბამის ვადებში. ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში, ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის ცხელი ხაზისა და სხვა აუცილებელი სერვისების საკონტაქტო ნომრები. აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება მშობლებს კლასის დამრიგებლების მეშვეობით. სკოლას სხვადასხვა ფორმით განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიები, მათ შორის: დისკუსიები, ფილმების ჩვენება, ვიდეორგოლების გადაღება, როლური თამაშები და სკოლის პროექტები; თემები მოიცავდა: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, დისკრიმინაციისა და ბულინგის/კიბერბულინგის პრევენციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. როგორც გასაუბრებიდან ირკვევა სადამრიგებლო საათებზე ტარდება ბავშვთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლების აქტივობები. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული ქცევის წესები. სკოლას გააჩნია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმები. სკოლაში მუშაობენ: 2 სპეციალური მასწავლებელი, 1 ფსიქოლოგი, 2 მოსწავლის ასისტენტი. ფსიქოლოგმა გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ მომსახურებას უწევს როგორც სსმ, ისე საჭიროების შემთხვევაში სხვა მოსწავლეებსა და მშობლებს. პროექტის ფარგლებში, სკოლის პარტნიორია სს „საქართველოს კარიტასი“. თვითმმართველობა და თანატოლ განმანათლებლები აქტიურად მუშაობენ თანატოლებთან და უმცროსკლასელებთან ბულინგის, დისკრიმინაციისა და კიბერბულინგის პრევენციის კუთხით. ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. იგი ეფუძნება სკოლის „უსაფრთხოების პოლიტიკის“ მე-11 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს: ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური და გენერალური დასუფთავების მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2020 წლის 6 თებერვალს დამტკიცებულ N01-40/ო ბრძანებას – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციები: წყალი, სანიტარია და ჰიგიენა“

სკოლაში დასუფთავება ხორციელდება 4 შტატის დამლაგებლის მიერ, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებენ ვალდებულებებს. დამლაგებლები: ყოველდღიურად ახორციელებენ სველ წესით იატაკის წმენდას დასაშვები სადეზინფექციო საშუალებებით; წმენდენ მტვერს არაუმეტეს 2 მ სიმაღლეზე: მაგიდები, მერხები, თაროები, რაფები, კომპიუტერები და სხვა; რეგულარულად წმენდენ სველი წერტილებსა და სანიტარულ კვანძებს; ყოველდღიურად ცვლიან ნაგვის პარკებს და ასუფთავებენ სკოლის ეზოს; ყოველთვიურად და გენერალურ დასუფთავებაზე ხდება ფანჯრების შიდა და გარე წმენდა. სკოლა წყლით მარაგდება ცენტრალური წყლის სისტემიდან გრაფიკის მიხედვით; საჭიროების შემთხვევაში, იძენს სასმელ და ტექნიკურ წყალს; ყველა სართულზე და სამასწავლებლოში განთავსებულია წყლის დისპანსერები, რომლებითაც მოსწავლეები თავისუფლად სარგებლობენ. სკოლაში არის გოგონათა და ვაჟთა გამოიჯნული საპირფარეშოები ყველა სართულზე (სულ ოთხი სართულია);

ცალკეა განთავსებული ადმინისტრაციისა და მასწავლებლების საპირფარეშოები; პირველ სართულზე არსებობს ადაპტირებული საპირფარეშო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის; ყველა სველი წერტილი აღჭურვილია საპნით, ქაღალდითა და ხელის საშრობი საშუალებებით. მონიტორინგი ხორციელდება კვირაში არანაკლებ 2-ჯერ; სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 ნოემბრის N2-23 ბრძანებით მონიტორინგზე პასუხისმგებლები არიან: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი და სკოლის ექიმი; მონაცემები ინახება სპეციალურ ცხრილში, რომლის შევსებასა და სისწორეს ადასტურებენ ხელმოწერით. **ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება ხორციელდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ჟურნალი უზრუნველყოფს შემდეგი მონაცემების აღრიცხვასა და მართვას: მოსწავლის სახელი და გვარი; პირადი ნომერი; აკადემიური შეფასება; დასწრება; საგნების ჯგუფები; სასწავლო განრიგი.

ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ შექმნილი პლატფორმა, რომელშიც ელექტრონულად ინახება მოსწავლეთა აკადემიური მონაცემები. ელექტრონულ ჟურნალში არსებულ მონაცემებზე წვდომა ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი გამოყენებით გააჩნიათ მხოლოდ შემდეგ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს; დირექტორის მოადგილეს; კლასის დამრიგებელს (შესაბამის კლასზე); საგნის მასწავლებლებს; საქმისმწარმოებელს. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი, რომელსაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. ჩანაწერებზე წვდომა, დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, აქვთ: სკოლის დირექციას; დისციპლინურ კომიტეტს; მრჩეველთა საბჭოს; სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; კანონიერ წარმომადგენლებს – სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას, რაც განპირობებულია ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის საჭიროებით. პირადი საქმე ინახება დაცულ ადგილას; პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი; წვდომის უფლება აქვთ მხოლოდ შემდეგ პირებს: სკოლის დირექტორს; დირექტორის მოადგილეს; საქმისმწარმოებელს; შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ თავისი კლასის მოსწავლეების მონაცემებზე). **რეკომენდაცია: სკოლა უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირის პოზიციაზე კვალიფიციური კადრის დასაქმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 24/06/2025-24/06/2026.** **ინდიკატორი 3.4.1.6 მეტწილად შესაბამისია**

7. სკოლა მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. კერძოდ სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებისთვის აქტიურად იყენებს მის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების ფორმას, სადაც გათვალისწინებული აქვს შეფასების

შედეგების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

სადამრიგებლო პროგრამა;

დამრიგებლის პორტფოლიო;

სკოლის სოციალური ქსელი;

სკოლის ვებ-გვერდი;

სსიპ – ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება №-110 02/04/2025;

სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება NL19/05 19/05/2025.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ მარტყოფში ქუჩა N24, შენობა N12. სკოლის სრული ტერიტორია შეადგენს 11952.00 მ². სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართობით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა ასევე სარგებლობს, სკოლის ეზოს გარეთ მდებარე მიწის ფართობით, რომელსაც იყენებს სხვადასხვა აქტივობებისთვის. სკოლას არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტული აქტივობებისთვის იყენებს სკოლის ფოიეს, საკლასო ოთახებს. ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი. სკოლის შენობა ოთხსართულიანია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს 651 მოსწავლე. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსების თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის — როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სივრცეს სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა: გაეცნონ ლიტერატურას; ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებით ინფორმაციის მოსაძიებლად; ამოეკიდონ საჭირო მასალები; მასწავლებლებს შეუძლიათ ბიბლიოთეკაში ჩაატარონ ღია გაკვეთილები. სკოლაში ფუნქციონირებს კინო-კლუბის საერთო მოხმარების სივრცე, რომელიც გამოიყენება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური შეხვედრებისთვის. სივრცე აღჭურვილია: პროექტორით და ეკრანით; სამაგიდო კომპიუტერით; ქსეროქსით; საოფისე მაგიდებითა და სკამებით. ეს სივრცე მრავალფუნქციურია და გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომები; საპროექტო და საკონკურსო გუნდების მეცადინეობები; ეკო-კლუბის შეხვედრები; დამრიგებლებისა და მშობლების შეხვედრები; პრეზენტაციები მოწვეული სტუმრებისთვის; დირექტორის თათბირები და სხვა ღონისძიებები. ლაბორატორიები აღჭურვილია: თაროებიანი კარადებით და უსაფრთხოდ შენახული რესურსებით; ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერით; ქსეროქსითა და პროექტორით. ეს ტექნიკური უზრუნველყოფა უზრუნველყოფს როგორც რეალური, ისე ვირტუალური ლაბორატორიული

სამუშაოების შესრულებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები (სსსმ) სარგებლობენ შემდეგი რესურსებით: ლეპტოპი, პლანშეტი, სამაგიდო კომპიუტერი; ფერადი და შავ-თეთრი პრინტერები; ყურსასმენები, დივანი, პუფები; განავითარებელი რესურსები. მასწავლებლებისთვის შექმნილია კომფორტული სამუშაო გარემო. სამასწავლებლოში განთავსებულია: სამი კომპიუტერი და სამი ქსეროქსი; ინტერნეტ პორტები 15 სამუშაო ადგილზე; მასწავლებლებს გადაეცათ ლეპტოპები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, სრულად ისარგებლონ ინტერნეტთან დაკავშირებული ტექნიკით. კომპიუტერული ლაბორატორია ხელს უწყობს მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების განვითარებას და წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურსს სკოლის სასწავლო გარემოში. **ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის ბიბლიოთეკართან გასაუგრებამ გამოკვეთა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის — მასწავლებლების, მოსწავლეებისა და ადმინისტრაციისთვის. ბიბლიოთეკის საქმიანობას კურირებს ერთი ბიბლიოთეკარი. 2024 წლის 26 დეკემბრის დირექტორის №1-308 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“, რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკით სარგებლობის ზოგად წესებს; კომპიუტერების, ქსეროქსისა და ბეჭდვის წესებს; უსაფრთხოების ნორმებს და წიგნადი ფონდის დაცვას. ბიბლიოთეკაში დაცულია დაახლოებით 7000 წიგნი, რომლებიც მოიცავს: მოსწავლეთა ასაკის შესაბამის მხატვრულ ლიტერატურას; სასწავლო სახელმძღვანელოებს; პერიოდულ გამოცემებს; მეთოდურ ლიტერატურას; ციფრულ რესურსებს. წიგნადი ფონდის აღრიცხვა მიმდინარეობს ელექტრონულ ფორმატში, რაც მომავალში უზრუნველყოფს ელექტრონული კატალოგის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით: 4 სამაგიდო კომპიუტერი მოსწავლეებისთვის, რომელიც გადმოეცა კოლეჯ „მოდუსისგან“ პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ; 1 სამუშაო კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის; ქსეროქსი, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის ყველა წევრისთვის; ინტერნეტი, რომელიც შეყვანილია 4-5 წერტილში — მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ ერთდროულად იმუშაონ ონლაინ და ჯგუფურად. ბიბლიოთეკის კომპიუტერებში ხელმისაწვდომია სასწავლო და ინფორმაციული რესურსები როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. **ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ბოლომდე ვერ პასუხობს თანამედროვე ინკლუზიური განათლების მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს ისეთ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც ყველა მოსწავლეს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (შშმპ) მქონე პირებს, აქვთ თანაბარი შესაძლებლობა და წვდომა სასკოლო რესურსებზე. **კერძო, სკოლას არ აქვს ლიფტი ან პანდუსი.** რაც შეეხება სკოლის შენობის მთავარ შესასვლელს მოწყობილია პანდუსი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა დამოუკიდებელ და უსაფრთხო გადაადგილებას. ასევე, პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშოები როგორც გოგონებისთვის, ისე ბიჭებისთვის. პირველ სართულზე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია ძირითადი სასწავლო სივრცეები: ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, საკლასო ოთახები, კინოკლუბის სივრცე, რაც ზრდის მათი დამოუკიდებლობის დონეს და ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სკოლაში არ სწავლობენ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები, არსებული ინფრასტრუქტურა სრულად არ არის შესაბამისობაში ინკლუზიური განათლების სტანდარტებთან. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია: მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური რესურსებით; კომფორტული ავეჯით (დივანი, პუფები); კომპიუტერული და დამხმარე ტექნიკით; განვითარებისთვის საჭირო მასალებით.

რესურს ოთახი ემსახურება არა მხოლოდ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს, არამედ ერთობლივი პროექტების განხორციელების სივრცედაც გამოიყენება, სადაც თანაკლასელებიც ჩართულნი არიან აქტივობებში, რაც ხელს უწყობს თანასწორობას და ჩართულობას. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელსაც აქვს გამოყოფილი ცალკე სამუშაო სივრცე — მყუდრო, დაცული და კონფიდენციალურობის პრინციპზე დაფუძნებული გარემო. მოსწავლეებს შეუძლიათ თავისუფლად ისაუბრონ საკუთარ ემოციებსა და საჭიროებებზე, რაც მნიშვნელოვანია მათი ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის. სკოლაში ინკლუზიური გარემოს განვითარება ხორციელდება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის, არამედ პროექტული მუშაობის გზით. ერთ-ერთი მასშტაბური

ინიციატივა სასკოლო პროექტი "იცოდე და დაიცავი", რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ: მოსწავლეები; დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები; სკოლის დირექცია; მშობლები. პროექტი მიზნად ისახავდა თანასწორობის, უსაფრთხოების და ინკლუზიური კულტურის განვითარებას სკოლის ყველა საფეხურზე. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ იყო ადაპტირებული კიბის უჯრედები, ასევე არ ჰქონდა ლიფტი ან პანდუსი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა თანდართული მტკიცებულებებით და მიეცა რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს კიბის უჯრედების ატაპტირება. ლიფტის ან პანდუსის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 24/06/2025-24/06/2026. **ინდიკატორი 3.5.1.4**

მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკურ მომსახურებაზე. ბიბლიოთეკას ჰყავს ბიბლიოთეკარი და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის დებულების საფუძველზე. წიგნადი ფონდი მოიცავს 7000-მდე ერთეულს – სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და მეთოდურ ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებსა და ციფრულ რესურსებს. ფონდის აღრიცხვა ხდება ელექტრონულად, მოსწავლეებს ხელმისაწვდომია კომპიუტერები, ქსეროქსი. ბიბლიოთეკაში ტარდება კითხვისა და შემოქმედებითი აქტივობები, მუშაობს სასკოლო კლუბები. სკოლის ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მოთხოვნებს. მოეწყო პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშოები, ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც სსსმ და სხვა მოსწავლეები ერთობლივად ახორციელებენ პროექტებს. ოთახი უზრუნველყოფს ემოციურ განტვირთვასა და უნარების განვითარებას. ფსიქოლოგს გამოყოფილი აქვს ინდივიდუალური სამუშაო სივრცე. სკოლა აქტიურად ახორციელებს ინკლუზიურ პროექტებს, მათ შორის „იცოდე და დაიცავი“, რომელშიც ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები. სკოლა ასევე არის თემისთვის სოციო-კულტურული სივრცე. ეზოში მოწყობილია მოსასვენებელი ზონა და სპორტული მოედანი, სადაც ტარდება ტურნირები, წარმოდგენები, გამოფენები და სხვადასხვა ღონისძიებები. ფოიე, სააქტო დარბაზის არარსებობის პირობებში, ხშირად გამოიყენება საჯარო ღონისძიებებისთვის. სკოლის სივრცეებში – ბიბლიოთეკა, კინოკლუბი, საკლასო ოთახები –

3.5.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიბლიოთეკის დებულება.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის ბრძანება N1-37.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

სასკოლო პროექტი „იცოდე და დაიცავი“.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ოთახების განლაგების ცხრილი.

იჯარის ხელშეკრულება.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ეკო-კლუბის საქაღალდე;

მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობები.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მუდმივ წვდომას კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე, რაც ხელს უწყობს ციფრული უნარების განვითარებას. ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი IT სპეციალისტი. ინტერნეტი უსადენო ქსელით ხელმისაწვდომია ყველა საკლასო ოთახში, ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში, რესურს ოთახსა და ადმინისტრაციულ სივრცეებში. საკლასო ოთახებში ინტერნეტ პორტები განთავსებული, ხოლო ლაბორატორიებში – ლეპტოპებზე სამუშაო შესაძლებლობა. 17 კომპიუტერი კომპიუტერულ ლაბორატორიაში (15 პერსონალური, 2 ლეპტოპი) 55 სამაგიდო კომპიუტერი სხვადასხვა სივრცეში; 50 ლეპტოპი (acer) – გადაეცა მასწავლებლებს ციფრული ტრანსფორმაციის პროექტის ფარგლებში; 12 პროექტორი და 14 პრინტერი სასწავლო და საერთო მოხმარებისათვის; ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერთა და სკანერით. 2022-2023 წლებში სკოლა ჩაერთო ციფრული ტრანსფორმაციის პროექტში. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ჩატარდა თვითშეფასება, შემუშავდა ციფრული განვითარების გეგმა და შესრულდა ორი სემესტრის განმავლობაში. 2024 წლის ივლისში განხორციელდა ხელახალი თვითშეფასება, რომლის საფუძველზე შეფასდა კომპიუტერული რესურსების ეფექტიანად გამოყენება. სკოლის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა სრულად პასუხობს თანამედროვე განათლების საჭიროებებს და ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა ტექნოლოგიურ ჩართულობას. **ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა სრულად აღჭურვილია უსადენო ინტერნეტით, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა საკლასო ოთახში, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, რესურს ოთახებსა და ადმინისტრაციულ სივრცეებში. დამატებითი Wi-Fi უზრუნველყოფილია რამდენიმე საკლასო ოთახსა და რესურს ოთახში, რაც ქმნის პირობებს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობისთვის. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ლაბორატორიაში ტარდება ტექნოლოგიების გაკვეთილები და სხვა საგაკვეთილო აქტივობები. ის ასევე გამოიყენება პრეზენტაციებისთვის, ჯგუფური მუშაობისთვის და ციფრული რესურსების შესაქმნელად (პოსტერები, ბუკლეტები, ვიდეორგოლები და სხვა). არსებობს ლაბორატორიის სარგებლობის გეგმა და წესები, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკის გამართულ გამოყენებას. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელი იყენებს საკლასო კომპიუტერებს, ლეპტოპებს და პროექტორებს გაკვეთილზე. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა: წარმოადგინონ დავალებები ციფრულ ფორმატში, მოიძიონ რესურსები ინტერნეტში, უყურონ საგანმანათლებლო ვიდეოებს, ისარგებლონ ვირტუალური ლაბორატორიებით და საგანმანათლებლო პლატფორმებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 5 კომპიუტერი. მოსწავლეები აქ ქმნიან პრეზენტაციებს, ეძებენ ინფორმაციას, კითხულობენ ლიტერატურას და სარგებლობენ ქსეროქსის მომსახურებით. რესურს ოთახში ხელმისაწვდომია კომპიუტერი, ლეპტოპი და ფერადი/შავ-თეთრი პრინტერები, რაც განსაკუთრებით გამოიყენება ინკლუზიური განათლებისთვის.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

ციფრული განვითარების გეგმა.

ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

კომპიუტერულ ლაბორატორიაში ქცევის წესები.

FB ბმულები ტექნოლოგიების გამოყენებით.

კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით და სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით. **ინდიკატორი**

3.6.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. **ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების ერთიანი წესი;

სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები;

საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;

სარეგისტრაციო ჟურნალები;

სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს **Facebook** პლატფორმას, სადაც რეგულარულად ქვეყნდება: სკოლის მისია, მიზნები და ღირებულებები, საგანმანათლებლო აქტივობები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებები, პროექტები, კონკურსები, ოლიმპიადები, ექსკურსიები, ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები, კლუბებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობა, მშობლებთან შეხვედრები და სხვა აქტივობები. სკოლას ასევე აქვს გვერდი სადაც ატვირთულია: სკოლის მისია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, სტრუქტურა, პროგრამები, მხარდამჭერი სერვისები, ქცევის წესები, აპელაციის მექანიზმები, ინფრასტრუქტურის, ფინანსებისა და მართვის პროცესების აღწერა. ეს პლატფორმა ხელს უწყობს სკოლის სრულფასოვან ინტეგრაციას საგანმანათლებლო სივრცეში და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალე წვდომას. **ინდიკატორი 3.6.3.1**

დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად იღებს უკუკავშირს და იყენებს მას ხარისხის გაუმჯობესებისა და გარემოს განვითარებისთვის. გამოყენებული არხებია: ელექტრონული გამოკითხვები (Messenger-ჯგუფებში და Facebook-ზე) პირადი შეხვედრები მშობლებთან და პედაგოგებთან, კლასის დამრიგებლის მიერ ჩატარებული კრებები, სპეციალური ყუთები „კითხვებისა“ და „სურვილებისთვის“ სკოლის ფოიეში, მშობელთა ჯგუფი („მშობელთა სათათბირო“) თითოეულ კლასიდან შერჩეული წარმომადგენლებით, სკოლის ოფიციალური ფოსტისა და კანცელარიის საშუალებით მიღებული წერილობითი გამოხმაურებები. **ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას აქვს ვებ გვერდი. ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრუქტურა; სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიში, სასწავლო პროგრამები და სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის სახით; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მშობელთან ურთიერთობის დებულება,

გამოკითხვის ანგარიში განსხვავებულობა,

ვებგვერდისა და სოციალური გვერდის ბმულები,

ფოტო მოსაზრებების ყუთები,

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ხარჯები. (სამოქმედო გეგმაში გაწერილია). სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი წყარო, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართები) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2025 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი,

სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი,

იჯარის ხელშეკრულება,

სკოლის ექიმის ხელშეკრულება,

ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, 2024-2025 სასწავლო წლის კურიკულუმში და შინაგანაწესში.

სკოლის შინაგანაწესი, ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 31. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 32. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 34. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი; სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის 2024-2025 წლის სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
2024-2025 წლის სასწავლო გეგმა;
კურიკულუმი;
გიზუალური დათვალიერება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/5 (11/01/2017)), მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი -სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. **ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი, რომელიც იტვირთება/რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eFlow-ს სისტემაში. **ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. სიახლეების შესახებაც ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სოციალური ქსელი;

E-school-ის ბაზა;

eFlow;

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის და მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების წესი.
ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში ადაპტაციის პროცესი რეგულირდება სკოლის დირექტორის 2023 წლის 7 სექტემბრის №1-110 ბრძანებით. სკოლა ახორციელებს ადაპტაციის პროცესს ყველა იმ მოსწავლისთვის, ვისაც სჭირდება სკოლასთან ან ახალ საფეხურთან მორგება – მათ შორის: პირველკლასელები, მობილობით გადმოსული მოსწავლეები, საბაზო ან საშუალო საფეხურზე გადასულები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეები. მთავარი კომპონენტები ადაპტაციის პროცესში: მოსწავლის საჭიროებების შეფასება: ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტისა და სკოლის ფსიქოლოგის მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარის მეშვეობით მიმდინარეობს მოსწავლის თავისებურებების შეფასება. მშობლების აქტიური ჩართულობა: სკოლაში ტარდება სემინარები და პრეზენტაციები, სადაც განიხილება ადაპტაციის გამოწვევები და ემოციური მხარდაჭერის გზები. დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია ფსიქოლოგის ანგარიშში. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაში ადაპტაციის მხარდამჭერი აქტივობები: სკოლის სივრცის დათვალიერება, მომავალი მასწავლებლისა და თანაკლასელების გაცნობა, ეზოში ჯგუფური თამაშები, საკლასო ოთახის მონახულება. ინტერაქციული სწავლება: სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია თამაშები და სოციალური აქტივობები, რაც ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას და კლასში ჩართულობას. მონიტორინგი და უკუკავშირის ადაპტაციის დინამიკა მჭიდროდ მონიტორინგდება. მშობლებთან პირველი შეხვედრა იგეგმება სასწავლო წლის დაწყებამდე, ხოლო შემდგომი – ერთი თვის ვადაში. ფსიქოლოგი და დამრიგებელი ინდივიდუალურად განიხილავენ მშობლის მიერ შევსებულ კითხვარს და შემუშავდება საჭირო რეკომენდაციები. **ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობენ სპეციალური მასწავლებლები. ისინი საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწყვეტ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. (სკოლას შექმნილი აქვს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა). სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. **ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დამღვევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. სსიპ გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა არაფორმალური განათლებისა და ინიციატივების განვითარებას. სკოლაში მოქმედებს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო კლუბები – დებატების, ეკო, სამოქალაქო, ისტორიის, მკითხველთა და სპორტული, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, განავითარონ შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სოციალური უნარები.

მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ ადგილობრივ და ეროვნულ პროექტებში. 2021 წელს გახსნილმა დებატების კლუბმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. ერთ-ერთ ეროვნულ ტურნირზე სკოლის მოსწავლე დასახელდა საუკეთესო მოდებატეებს შორის. სკოლის მხარდაჭერით განხორციელდა მეწარმეობის პროექტიც – კოლხური ბზის გამრავლება და გაყიდვა ბზობის დღესასწაულზე.

სკოლა რეგულარულად აწყობს ინტელექტუალურ შეჯიბრებებს, როგორცაა „ტვინების ბრძოლა“, რაც ხელს უწყობს გუნდური მუშაობისა და ლიდერობის უნარების განვითარებას. გეოგრაფიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით ეკო-კლუბი ახორციელებს პროექტს „მოგზაურობა ჩემი სოფლის ირგვლივ“, რომელიც აძლიერებს გარემოსდაცვით ცნობიერებას. აღსანიშნავია მოსწავლეთა ჩართულობა საგანმანათლებლო ლაშქრობებსა და ეკო-ღონისძიებებში.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ღონისძიებების ორგანიზებაში, მათ შორის საახალწლო კარნავალში. სკოლა უზრუნველყოფს საჭირო ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ რესურსებს – ბიბლიოთეკა, კინო-კლუბი, კომპიუტერები, პროექტორი – რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ ინიციატივები და მოიპოვონ პრაქტიკული გამოცდილება. **ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

6. სკოლაში პერიოდულად ტარდება კვლევა. გამოვლინდა სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეები, გამოიკვეთა, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს სკოლამ, რათა სწავლა-სწავლება უფრო ეფექტური გახადოს ციფრული მიმართულებით. სკოლის კითხვარებით გამოვლინდა ისეთი პრიორიტეტული საკითხების განვითარების მზაობა, როგორცაა: სკოლის არაფორმალური განათლება, უსაფრთხოება. სკოლა გეგმავს სასწავლო წელს განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლის ადაპტაციის წესი;

სკოლის სოციალური ქსელი;

სსიპ გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

სკოლის შინაგანაწესი;

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები;

თვითმმართველობის დებულება;

სადამრიგებლო პროგრამა;

კვლევა-კითხვარი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან და საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, რათა მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია პროფესიული განათლების შესაძლებლობებისა და სპეციალობების შესახებ. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროფესიულ განათლებაზე ცნობიერების ამაღლებასა და კარიერული არჩევანის მხარდაჭერას. ამ პროცესის ფარგლებში სკოლაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან, ასევე განხორციელდა მოკლევადიანი პრაქტიკული კურსები.

2024 წლის მარტში, კოლეჯ „მოდუსის“ წარმომადგენლებმა სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან გამართეს შეხვედრა, სადაც განიხილეს პროფესიული განათლების მნიშვნელობა, დასაქმების პერსპექტივები და კოლეჯის პროგრამები. მოსწავლეებმა ასევე მოინახულეს კოლეჯი და დაათვალიერეს სასწავლო გარემო. 2022 წლიდან სკოლა მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს კოლეჯებთან „მოდუსი“ და „მერმისი“, რომელთა ფარგლებში სკოლაში ჩატარდა 3 თვიანი პროფესიული კურსები კერვის, აიტი სპეციალობის, ელექტრობისა და მინანქრის ხელოვნების მიმართულებით. კურსების წარმატებით გავლის შემდეგ მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატი, ხოლო მინანქრის ჯგუფის წევრებმა საკუთარი ნამუშევრები გამოფენაზეც წარმოადგინეს.

სკოლის კარიერული განათლება მოიცავს როგორც საგნობრივი, ასევე პრაქტიკული კომპონენტების შეთავსებას, რაც აღწერილია სკოლის სასწავლო გეგმაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პროფესიული არჩევანის გაკეთების მხარდაჭერას და რეალურ გამოცდილებას.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით. **ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.ადმინისტრაცია გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს უზრუნველყოს მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გაძლიერება. **ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი
- მემორანდუმი
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატიულ დოკუმენტებს. ინკლუზიური განათლების მიმართულება გაწერილია როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე დამტკიცებულია შესაბამისი წესები, სამოქმედო გეგმები და სპეციალისტთა სამუშაო დებულებები. მოსწავლეთა შეფასება და მხარდაჭერა მიმდინარეობს დიფერენცირებული და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდებით. სპეციალური მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ უნარებს, ავსებს შესაბამის დოკუმენტაციას და პედაგოგებს აწვდიან რეკომენდაციებს, რის საფუძველზეც იწყება ინტენსიური მუშაობა. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მიმართავს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალურ ცენტრს სსსმ სტატუსის მინიჭების მიზნით.

სსსმ სტატუსის მიღების შემდეგ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელიც ამზადებს მოსწავლისთვის შესაბამის ინდივიდუალურ გეგმას. სწავლება მიმდინარეობს როგორც საკლასო გარემოში, ასევე რესურს ოთახში, სპეციალური მასწავლებლისა და საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგის მხარდაჭერით. სკოლა აქტიურად იყენებს კრიზისული ქცევის მართვის მექანიზმებსაც, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო გარემოში სრულფასოვან ინტეგრაციასა და პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით, სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

ისგ გეგმები;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სსსმ მოსწავლის ადაპტაციის გეგმა;

მშობლის რეფლექსია.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხატვის წრე, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა სამხატვრო ტექნიკას ეუფლებიან და მონაწილეობენ გამოფენებში, რაც ხელს უწყობს მათი კრეატიულობის განვითარებას. ამასთან, მიმდინარეობს ცეკვის წრის აღდგენის პროცესი, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეთა კულტურული და ფიზიკური უნარების განვითარებას. პროგრამა „მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებს ემსახურება



ტრანსპორტი. მოსწავლეთა რაოდენობა და კილომეტრაჟი განსაზღვრული და შეთანხმებულია, კრიტერიუმების შესაბამისად. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი, რომელიც იჯარით არის გაცემული. **ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია**

2. მოსწავლეთა ტრანსპორტირების განრიგი შეთანხმებულია ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან. სკოლას ჰყავს ტრანსპორტირების აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყოველდღიურად აწარმოებს ტაბელს. ყოველი თვის ბოლოს შესაბამისი წესით დამოწმებულ ტაბელი ეგზავნება კომპანიას. სკოლაში ბუფეტის არსებობა განაპირობა თავად მშობლების ინტერესმა. ყველა დამატებითი მომსახურება ხელმისაწვდომია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ადასტურებენ თავიანთ ნებაყოფლობით მონაწილეობას შეთანხმებული პირობების საფუძველზე. **ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია**

3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება პასუხისმგებელი პირის გამოყოფაზე;

ტაბელი;

იჯარის ხელშეკრულება;

მშობლების თანხმობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
2. სტრატეგიული გეგმა;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
5. შეფასების რუბრიკები;
6. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ;
7. სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

2.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმების კონტექსტ-მაგალითების სვეტი შეივსოს რელევანტური მასალით, ხოლო რუსული ენის V კლასის კურიკულუმის რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს მითითებისას სასურველია ჩაიწეროს შესაბამისი გვერდები.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

2.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სახელმწიფო ენის საფეხურის კურიკულუმში უფრო ნათლად იყოს განსაზღვრული შინაარსი და გრძელვადიანი მიზნები, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. მაგალითისთვის: I - კლასის საგნობრივი კურიკულუმში უნდა აისახოს პერიოდები და სარეკომენდაციო თემატიკა. **რჩევა:** სასურველია, სახელმწიფო ენაში I - V I ჩათვლით მეტი ყურადღება მიექცეს, იფარება თუ არა ყველა სამიზნე ცნება; ასევე კურიკულუმი შემოთავაზებული შუალედური მიზანისა თუ კომპლექსური დავალების პირობა მკაფიოდ ითვალისწინებს თუ არა გრძელვადიანი მიზნებს. **რჩევა:** სასურველია მე და საზოგადოების საგნობრივ კურიკულუმში საკითხების/შუალედური მიზნების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი/მიზნები მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში ვუზრუნველყოთ სწავლის შედეგების მიღწევა. მაგ. მე-4 კლასის მე და საზოგადოების, „ჩვენი საქართველოს“ მე-5, მე-6 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია საკითხთა ჩამონათვალი, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი/შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს. **რჩევა:** სასურველია მე და საზოგადოების „ჩვენი საქართველოს“ საგნობრივი კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალების გასწვრივ მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს საინფორმაციო ბუკლეტი, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მე და საზოგადოების მე-4 კლასის კურიკულუმში მითითებულია, რომ მოსწავლეებმა უნდა შექმნან ნაშრომი სკოლაში ქცევის წესების შესახებ, მაგრამ დაკონკრეტებული არ არის კონკრეტული პროდუქტი. ასევე, ჩვენი საქართველოს მე-6 კლასის კურიკულუმში რაჭა-ლეჩხუმის თემაში მოსწავლისთვის დავალებულია მხოლოდ ინფორმაციის მოძიება ხვამლის მთაზე. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას. სასურველია შუალედური მიზნების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ. „ჩვენი საქართველოს“ საგნის ფარგლებში მე-5 კლასში „დინოზავრები საქართველოში“ ამ საკითხის ფარგლებში აქტივობებით მუშავდება დავალების შემდეგი კრიტერიუმები: როდის გაჩნდნენ დინოზავრები დედამიწაზე? დაასახელეთ დინოზავრის სახეობები, ისაუბრეთ საქართველოში აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევის შესახებ, რამდენ ხანს ცოცხლობდნენ დინოზავრები და არ წარმოადგენდა მათ საკვებს და ა.შ. აღნიშნული კრიტერიუმები არ უწყობს ხელს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოცემული დავალების ფარგლებში შესაძლებელია დამუშავებულიყო შემდეგი სამიზნე ცნებები: სივრცე, მეურნეობა, სახელმწიფო და აქტივობებიც მიმართული ყოფილიყო ამ გრძელვადიანი მიზნების დამუშავებისკენ. მაგ. სამიზნე ცნება სივრცეზე მუშაობის დროს მოსწავლე შეძლებდა განესაზღვრა საქართველოს რომელ მხარეში მდებარეობს სათაფლია, რა კლიმატური პირობებია დამახასიათებელი იმერეთისთვის და რა ზეგავლენას ახდენს კლიმატური თავისებურებები სათაფლიაში არსებულ ფლორასა და ფაუნაზე. ემსჯელა რატომ აღარ გვხვდებიან დღეს სათაფლიაში დინოზავრები, რამ განაპირობა დროთა განმავლობაში ფლორის და ფაუნის ცვლილება და მღვიმეები წარმოქმნა; სახელმწიფოსა და მეურნეობის ცნებებზე მუშაობის დროს გამოეკვეთა თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო სათაფლიის ეროვნულ



ნაკრძალზე, რამდენად უწოდს ხელს სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები სათაფლიის ტურისტულ განვითარებას და როგორ აისახება ყოველივე ეს იმერეთის მოსახლეობის ყოფასა და საქმიანობაზე და ა.შ. **რჩევა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში თითოეულ სასწავლო თემას მიეწეროს თემატური ბლოკის სახელწოდება (2-3 კლასების მსგავსად), ხოლო კურიკულუმის ჩარჩოს თავფურცელზე მოცემული ჩამონათვალი განისაზღვროს რას ეკუთვნის, სასწავლო თემებს თუ თემატურ ბლოკებს. **რჩევა:** სასურველია, მუსიკის საგანში, დაწყებითი საფეხურის 5-6 კლასების კურიკულუმში, საკითხების გრაფაში ჩაიწეროს მუსიკის საგნობრივ სტანდარტში მოცემული ოთხი სავალდებულო საკითხიდან შესაბამისი საკითხი (1-4 კლასების კურიკულუმების მსგავსად), და არა გაკვეთილების სათაურები. **რჩევა:** სასურველია, ესთეტიკური აღზრდის კათედრა შეჯერდეს, რომ კომპლექსური დავალების პირობა/იდეის შევსებისას უნდა ჩანდეს, თუ რა შემოქმედებით პროდუქტის შექმნაზე, რა საკითხსა და ცნებებზე მუშაობს მოსწავლე და ამის გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს კომპლექსური დავალების პირობა, ხოლო შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა მიუთითოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. თუ მოცემული თემა არ ჯამდება კომპლექსური ბუნების დავალებით, მხოლოდ მაშინ მიეთითოს კურიკულუმებში შემაჯამებლის ფორმატი. შემაჯამებელ სამუშაოებში გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების მოცულობა. **რჩევა:** სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, სასურველია დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმებში გაწერილი და შეთავაზებული იყოს სხვადასხვა, მოსწავლეთათვის საინტერესო თემები, სპორტის სახეობები (5-6 თემა). **რჩევა:** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, სასურველია დაწყებითი, კერძოდ I-IV კლასის კურიკულუმებში, თემების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, მოხდეს თემების საათობრივი თანაბარი გადანაწილება (ერთი თემა 10-12 გაკვეთილი).

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

2.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები (IV კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების იდეა – „აირჩიე შენი საყვარელი ცხოველი, შექმენი დიორამა საცხოვრებელი გარემოს შესახებ და წარუდგინე შენს თანაკლასელებს“ – ჩამოაყალიბდეს, როგორც დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტშია (სასწავლო პროექტი დიფერენცირება ინგლისური) – შექმენი დიორამა ან დახატე, დაწერე ან ისაუბრე შენი საყვარელი ცხოველის შესახებ“. შესაბამისად, სხვა შემოქმედებითი დავალების იდეებიც ისე ჩამოაყალიბდეს, რომ შეძლებისდაგვარად ჩანდეს მოსწავლისთვის შეთავაზებული არჩევანის თავისუფლება (უცხოური ენები).

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

2.1.2.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ

ორიენტირები მიემართება შეფასება. I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასების, ხოლო V-VI კლასების დონეზე, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე სკოლამ აქტუური მუშაობა უნდა გააგრძელოს.

რჩევა: სასურველია მე და საზოგადოების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისაგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ (ეთეტიკური აღზრდა).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. კომპლექსური დავალების ბარათები;
3. თემის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
4. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
5. მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
6. მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების შეფასების ფორმა;
7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
8. ვერიფიკაციის დოკუმენტი;
9. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-25 სასწ.წ;
10. პროექტები;
11. მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
12. რესურსები.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

2.2.1.1.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

2.2.1.2.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები
3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები
5. ინდ.სასწავლო გეგმა
6. ვერიფიკაციის მექანიზმი
- 7.განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით



1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში (უცხოური ენები)

2 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

2.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სკოლას არ გააჩნია



საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2.2.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

2.2.2.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.შეფასების რუბრიკები
2. მასწავლებელთა საჭიროების კვლევის ანგარიში და მასალები
3. საგნობრივი ისგ
- 4.ისგ მონიტორინგი-მოსწავლის პროგრესი
- 5.ისგ ნამუშევრები
- 6.მოსწავლის პორტფოლიო
- 7.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- 8.ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი
- 9.განმავითარებელი შეფასება
- 10.ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- 11.გამოკითხვა განსხვავებულობა -ანგარიში
- 12.ვერიფიკაციის დებულება
- 13.დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება
- 14.კათედრის სამუშაო გეგმა

15. ისგ. ინგლისური
16. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკა - ინგლისური
17. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
18. წლიური რეფლექსია-ანგარიში რუსული ენა
19. შემოდგომის პრეზენტაცია

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).*

2.3.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

2.3.1.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

2.3.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.სასწავლო ნაწილის ანგარიში

3.კათედრების ოქმები

4.კათედრების თავმჯდომარეების ანგარიში

5.ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი

6.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

2.3.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

2.3.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

2.3.2.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

2.3.2.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
2. ინტერვიუ მასწავლებლებთან;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. კათედრის ანგარიშები;
5. კურიკულუმის მეთოდოლოგია;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის 7, 8, 9 კლასების კურიკულუმები ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში;
2. მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები;
3. 2024-2025 წლების საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმები;
4. სსსმ მოსწავლის ადაპტირებული დავალებები;
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
6. მოსწავლეთა ნაშრომები;
7. განხორციელებული პროექტები;
8. სოციალური ქსელის სკოლის გვერდი;
9. პედაგოგებთან გასაუბრებ
10. სასწავლო გეგმა 2024-2025
11. სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

2.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმების კონტექსტ-მაგალითების სვეტი შეიცვას რელევანტური მასალით, ხოლო რუსული ენის VIII კლასის კურიკულუმის რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს მითითებისას სასურველია ჩაიწეროს შესაბამისი გვერდები.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;

2.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ნათლად გამოკვეთოს საბაზო საფეხურზე სავალდებულო ხასიათის შემდეგი მოთხოვნები: სამიზნე ცნებები, თემატური ბლოკი, სავალდებულო ნაწარმოებების შესწავლის საკითხი. კათედრამ 2025-2026 სასწავლო წლისთვის უნდა გააგრძელოს კურიკულუმის დახვეწაზე მუშაობა. **რჩევა:** საგნობრივ კურიკულუმებში დასახვეწია საკითხის და კონტექსტ-მაგალითების გრაფა. ასევე სასურველია, შუალედური მიზანი უფრო რელევანტური დავალებებით იყოს შემოთავაზებული (სახელმწიფო ენა). **რჩევა:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმში საკითხების/შუალედური მიზნების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში უზრუნველყოთ სწავლის შედეგების მიღწევა. მაგ. ისტორიის მე-7, მე-8, მე-9 კლასების, გეოგრაფიის მე-7 და მოქალაქეობის მე-8 კლასების საგნობრივ

კურიკულუმებში მოცემულია საკითხები, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი/შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს (საზ.მეცნიერებები).**რჩევა:** სასურველია გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ყველა შუალედური მიზნის/დავალბის გასწვრივ მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, მაგ. ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. მაგ. გეოგრაფიის არცერთ კურიკულუმში შუალედური მიზნის გრაფაში დაკონკრეტებული არ არის შემოქმედებით პროდუქტი, ასევე, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმში მითითებულია ტესტური დავალბა ღია და დახურული კითხვებით, რაც ვერ ჩაითვლება შემოქმედებითი ტიპის დავალბად. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალბის განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.**რჩევა:** სასურველია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი შუალედური მიზნები თანხვედრაში მოდიოდეს დანართის სახით წარმოდგენილ დავალბების პირობებთან და აქტივობებთან. მაგ. მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში შუალედურ მიზნად გაწერილია კონტურულ რუკაზე საქართველოსა და აფრიკის კონტინენტზე პირველყოფილი ადამიანის განსახლების არეალის დატანა, კურიკულუმს კი დართული აქვს დავალბა(აქტივობებით) - საველე დღიურის შექმნა დმანისის აღმოჩენების შესახებ. ასევე მე-8 კლასის ისტორიის კურიკულუმში წარმოდგენილია დავალბა - კომიქსის შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნება პიპინ მოკლეს კარლოს, დიდის..დილოგები, კურიკულუმის ჩარჩოში კი აღნიშნული დავალბა საერთოდ არ არის მითითებული(საზ.მეცნიერებები).**რჩევა:** სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, საბაზო საფეხურის 8-9 კლასში თითოეულ სასწავლო თემას მიეწეროს თემატური ბლოკის სახელწოდება (7 კლასის მსგავსად), ხოლო კურიკულუმის ჩარჩოს თავფურცელზე მოცემული ჩამონათვალი განისაზღვროს რას ეკუთვნის, სასწავლო თემებს თუ თემატურ ბლოკებს.**რჩევა:** სასურველია, მუსიკის საგანში, საბაზო საფეხურის 7-9 კლასების კურიკულუმში, საკითხების ჩამონათვალი გამოიყოს ცალკეული გრაფებით და მიეწეროს სამიზნე ცნება-ქვეცნებები იმ შემთხვევაში, თუ ქვეცნებები განსხვავდებიან წინა საკითხების ქვეცნებებისაგან.**რჩევა:** სასურველია, ესთეტიკური აღზრდის კათედრა შეჯერდეს, რომ კომპლექსური დავალბების პირობა/იდეის შევსებისას უნდა ჩანდეს, თუ რა შემოქმედებით პროდუქტის შექმნაზე, რა საკითხსა და ცნებებზე მუშაობს მოსწავლე და ამის გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს კომპლექსური დავალბების პირობა, ხოლო შემაჯამებელი დავალბების რაოდენობა მიუთითოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. თუ მოცემული თემა არ ჯამდება კომპლექსური ბუნების დავალბებით, მხოლოდ მაშინ მიეთითოს კურიკულუმებში შემაჯამებლის ფორმატი. შემაჯამებელ სამუშაოებში გაიზარდოს შემოქმედებითი დავალბების მოცულობა.**რჩევა:** გამომდინარე იქიდან, რომ სპორტის ინდივიდუალური სახეობა მძლეოსნობა მოიცავს ისეთ სახეებს, როგორიცაა რბენა, ხტომა, ტყორცნა, რაც სპორტის სხვა სახეობების : ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და სხვა სწავლების საფუძველია, სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმში, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, გაწერილი იქნას სპორტის სახეობა მძლეოსნობა. ასევე თემების სავარაუდო რაოდენობა განისაზღვროს 5-6 თემით.**რჩევა:** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, თემების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, მოხდეს თემების საათობრივი რაოდენობის სწორად გაწერა და თანაბარი გადანაწილება(ერთი თემა 10-12 გაკვეთილი (სპორტი)). **რჩევა:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული იყოს სავარაუდო საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის (უცხოური ენები).

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

2.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

2.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები (IV კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების იდეა „აირჩიე შენი საყვარელი ცხოველი, შექმენი დიორამა საცხოვრებელი გარემოს შესახებ და წარუდგინე შენს თანაკლასელებს“ - ჩამოყალიბდეს, როგორც დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტშია (სასწავლო პროექტი დიფერენცირება ინგლისური) - შექმენი დიორამა ან დახატე, დაწერე ან ისაუბრე შენი საყვარელი ცხოველის შესახებ“. შესაბამისად, სხვა შემოქმედებითი დავალების იდეებიც ისე ჩამოყალიბდეს, რომ შეძლებისდაგვარად ჩანდეს მოსწავლისთვის შეთავაზებული არჩევანის თავისუფლება (უცხოური ენები).

4. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

2.1.2.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში დააკონკრეტოს, რომელ გრძელვადიან მიზანს მიემართება შეფასება. V-XII კლასების მოსწავლეების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით, რაც ნათლად არ იკითხება წარმოდგენილ მტკიცებულებებში, ამიტომაც საგნობრივმა ჯგუფმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს, თუ რა ფორმით შეიმუშავენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნებიან გრძელვადიან მიზნებს. სამომავლოდ აუცილებლად უნდა შეიმუშავონ შეფასების მრავალფეროვანი ჰოლისტიური სისტემა (სახელმწიფო ენა). **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების აგებისას, კათედრამ ყოველთვის გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი კომენტარი მოსწავლის შემდგომი წინსვლის ხელშეწყობას უნდა ემსახურებოდეს: დაზუსტოს-რა უნდა გაეკეთებინა, წახალისოს-რა გააკეთა კარგად, მისცეს რჩევა-რა უნდა გააუმჯობესოს და როგორ (ესთეტიკური აღარდა)..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. ვერიფიკაციის დოკუმენტი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-25 სასწ.წ;
4. პროექტები;

- 5.მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 6.განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- 7.მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
- 8.მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების შეფასების ფორმა;

შეფასება:

- ☐ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ☐ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2025-2026 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; სასწავლო რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანცვლება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. ვერიფიკაციის დოკუმენტი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-25 სასწ.წ;

- 4.პროექტები;
- 5.მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 6.განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- 7.მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
- 8.მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების შეფასების ფორმა.

შეფასება:

